ნინო ბურჯანაძე

დემოკრატიული მოძრაობა

პროგრამა
2016

ერთიანი საქართველო–ძლიერი ეკონომიკა!

www.democrats.ge

ძვირფასო თანამემამულეებო!

ოთხი წელი გავიდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა – უარი უთხრა ძალმომრეობაზე დამყარებულ რეჟიმს და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა მოითხოვა. ამ დღეს თითქმის მთელი საქართველო იმედის თვალით უყურებდა, თუმცა ახლა, მორიგი არჩევნების წინ, ყველანი იმედგაცრუებული ვართ. მმართველმა ძალამ დაპირებების უმეტესობა არ შეასრულა, ხოლო ეს ოთხი წელი დანაშაულებრივ რეჟიმთან კოჰაბიტაციას მოანდომა, რის შედეგებს თავადაც იმკის და, რაც მთავარია, ხალხიც და ქვეყანაც.

თითქმის არავის უგია პასუხი იმაზე, რომ ქვეყანას ჰყავდა ორასზე მეტი პოლიტიკური პატიმარი, ასიათასობით პრობაციონერი, ათიათასობით უკანონო და ნაწამები პატიმარი; ციხეებში დაღუპული 600-ზე მეტი ადამიანი, მიტინგებსა თუ ქუჩებში დახოცილი ადამიანები, გამოუძიებელი მკვლელობები, ტოტალური მოსმენები და თვალთვალი, წაგებული ომი, ათასობით დევნილი, დაკარგული ტერიტორიები...

კოჰაბიტაცია ემსახურებოდა ორპარტიული მმართველობის სისტემის ხელოვნურ დამკვიდრებას. დღესაც, როგორც 2012 წელს, ქვეყანა კვლავ უმნიშვნელოვანესი არჩევანის წინაშე დგას. სწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს შანსი, გამოვიდეთ იმ ჩაკეტილი წრიდან, რომელსაც 20 წელია, თავი ვერ დავაღწიეთ. ხალხისგან გაუცხოებული პარლამენტის ნაცვლად, გვეძლევა შესაძლებლობა, ჭეშმარიტად ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული საკანონმდებლო ხელისუფლება მივიღოთ.

ქვეყანას სისტემური ცვლილებები ესაჭიროება!

გაღატაკებულ ადამიანებს ღირსებასა და პატრიოტიზმზე ფიქრის საშუალება აღარ აქვთ და იქნებ სწორედ ესეც იყოს მავანთა მიზანი. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ სოციოლოგიურ გამოკითხვებში საქართველოს მთლიანობის თემამ ქვედა ადგილებზე გადაინაცვლა. თუმცა იმას ვეღარ მალავენ, რომ ხალხს უმუშევრობა და მძიმე სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა უხუთავს სულს. ეს არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული საკითხები;

ვიდრე საქართველო არ გამთლიანდება, მისი ეკონომიკა ვერასოდეს იქნება სრულყოფილად წარმატებული და ვერც ხალხი გაიმართება წელში!

ერთიანი საქართველოს პირობებში მხოლოდ აფხაზეთში 3 მილიონი ტურისტი ჩამოდიოდა, დღეს კი დანარჩენ საქართველოს მხოლოდ მილიონი ადამიანი სტუმრობს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს სერიოზული წვლილი მიუძღოდა საქართველოს მეხილეობის, მეცხოველეობის, მარცვლეულის წარმოების თვალსაზრისით. დღეს ეს პოტენციალი სრულიად გამოუყენებელია ოსებისთვისაც, აფხაზებისთვისაც და ქართველებისთვისაც. იგივე ითქმის საწარმოო საშუალებებსა და სასარგებლო წიაღისეულზე, მრეწველობაზე, სატრანსპორტო სისტემასა და ინფრასტრუქტურაზე. საქართველო ვერასოდეს გახდება წარმატებული სახელმწიფო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე. ის პოლიტიკოსები, რომლებიც ამ ორი ძირძველი ქართული ტერიტორიის გარეშე აპირებენ ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ფაქტობრივად, წირავენ საქართველოს მუდმივად არშემდგარი, ღატაკი და სხვისი ხელის შემყურე სახელმწიფოდ ყოფნისთვის.

უბლოკო სტატუსი

საქართველოს გამთლიანებისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის!

ჩვენ ვიცით, როგორ უნდა გამთლიანდეს და გაძლიერდეს საქართველო!

ჩვენ გამოვედით ინიციატივით საქართველოს უბლოკო სტატუსის შესახებ. დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის მიზნით. კერძოდ, კონსტიტუციის 98–ე მუხლს უნდა დაემატოს მე–5 პუნქტი შემდეგი შინაარსით:

„ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, თავდაცვისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველო არ წევრიანდება რომელიმე საერთაშორისო სამხედრო ბლოკში ან ალიანსში. საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია რომელიმე სახელმწიფოს, სამხედრო ბლოკის, ალიანსის ან სხვა გაერთიანების სამხედრო შენაერთების განთავსება. უბლოკო სტატუსი მოქმედებს 1991 წლის მდგომარეობით აღიარებულ საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში".

სწორედ ჩვენ მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილება, საქართველოს უბლოკო სტატუსის შესახებ, წარმოადგენს რეალურ შესაძლებლობას ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ მხარესთან მოლაპარაკებების დასაწყებად, რათა აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იმ პირობით, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალება ნებისმიერი სახელმწიფოს, ან სამხედრო ბლოკის შენაერთების დგომა. ამავე დროს, უბლოკო სტატუსი ხელს არ უშლის საქართველოს, იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანი და აქტიური წევრი. ვითვალისწინებთ აფხაზებისა და ოსების ინტერესს, რომელთაც არ ხიბლავთ საქართველოს წევრობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, ასევე რუსეთის ინტერესს – საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო საფრთხის შესაძლო არსებობის შესახებ, ვიწყებთ ქვეყნის გამთლიანებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაციის გზით. ყველა საშუალებით შევუწყობთ ხელს სახალხო დიპლომატიის გააქტიურებას, სახელმწიფო დიპლომატიასთან ერთად.

დღეს საქართველოს განვითარებისთვის სჭირდება მკაფიო, ეფექტიანი, სამოქალაქო თანხმობაზე დამყარებული, ქვეყნის გამაერთიანებელი სამოქმედო გეგმა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასთან ერთად მის განსახორციელებლად წარმოგიდგენთ ჩვენს ხედვას, თუ როგორი საგარეო და საშინაო პოლიტიკა უნდა წარიმართოს, რათა ეფექტიანი მმართველობით ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონე გავაუმჯობესოთ, უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების განხორციელება.

ჩვენ ვიცით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა:

ქვეყანაში სამართლიანობა აღვადგინოთ, დავიცვათ ადამიანის უფლებები, მათ შორის, საკუთრების უფლება, დავიწყოთ წართმეული ქონებისა და ბიზნესის დაბრუნების პროცესი და დაზარალებულთათვის ფინანსური კომპენსაციების გადახდა. შევცვალოთ ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთარი მოქალაქეებისადმი – სახელმწიფოს უპირველესი პრიორიტეტი საკუთარ ხალხზე ზრუნვა უნდა იყოს! ყველა მოქალაქეს შევუქმნათ ღირსეული სოციალური და ეკონომიკური პირობები. ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე მხოლოდ ის პოლიტიკა გავატაროთ, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის ერთიანობას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ჩვენი ეროვნული ფასეულობების დაცვას.

საქართველოს დღეს სასიცოცხლოდ სჭირდება ეროვნული უსაფრთხოების ყოვლისმომცველი თანამედროვე დოქტრინა. წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით მიღებული მდგომარეობა საგანგაშოა სახელმწიფოს როგორც შიდა, ისე საგარეო საფრთხეების მასშტაბით. აუცილებელია ჩვენი სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენა, ჩვენი ეროვნული მიზნების მკაფიოდ გამოკვეთა და მათი მიღწევის რეალური მექანიზმების განსაზღვრა.

ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სათანადო კონცეპტუალური ბაზის მომზადება, რომელიც უნდა მოიცავდეს ქვეყნის სტრატეგიული და ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობას საერთაშორისო სამართლის პრინციპების, პარტნიორი და მეზობელი ქვეყნების ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით, უსაფრთხოების პოლიტიკის სათანადო გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას, პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებასა და შესაბამის საკადრო უზრუნველყოფას.

ქართული სახელმწიფოს ორი ძირითადი ამოცანაა:

- საკუთარი მოქალაქეების შიდა და გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ქვეყანაში საყოველთაო კეთილდღეობის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა.

საქართველოს ეროვნული ინტერესებია:

- სუვერენიტეტის განმტკიცება;
- აფხაზ და ოს თანამემამულეებთან ნდობისა და ჩატეხილი ხიდების აღდგენა;
- ქვეყნის მთლიანობის აღდგენა და განმტკიცება;
- ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობის დამკვიდრება;
- ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების დაცვა და ჯანსაღი, პროგრესული თანამედროვე ტენდენციების მხარდაჭერა;
- სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და ხელისუფლების შტოებს შორის რეალური ბალანსის შექმნა;
- ეფექტიანი მართვისა და კონტროლის მექანიზმების შექმნა;
- ხალხის ეკონომიკური, სოციალური და სულიერი კეთილდღეობის რეალური უზრუნველყოფა; ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის მიღწევა;
- თითოეული ჩვენი თანამემამულის ეთნიკური, კულტურული და რელიგიური თვითმყოფადობის პატივისცემა, თვითრეალიზაციისთვის თანაბარი პირობების შექმნა.

საქართველო შიდა და გარე საფრთხეების წინაშე დგას:

სახელმწიფო არსებობს ადამიანისთვის და არა ადამიანი – სახელმწიფოსთვის! ჩვენ გვჭირდება ძლიერი ქვეყანა და მდგრადი განვითარება, თუმცა ძლიერი სახელმწიფო არ ნიშნავს ძალმომრეობას! სახელმწიფოს ძალა ეროვნულ თანხმობასა და საყოველთაო კეთილდღეობაშია! მხოლოდ სამართლიანი სახელმწიფო შეიძლება იყოს სტაბილური და წარმატებული. დროა, შესრულდეს ჩვენი კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი დებულება და ქართული სახელმწიფო კანონის უზენაესობას და სამართლიანობას, მათ შორის სოციალურ სამართლიანობას დაეფუძნოს!

პოლიტიკოსთა უგუნურებით საქართველოს უკანასკნელი წლების განმავლობაში სერიოზული ზაინი მიადგა. კერძოდ:

- მკვეთრად არის შესუსტებული საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი;
- სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ ახერხებს საკუთარი სუვერენული პოლიტიკის დაგეგმვას და გატარებას;
- საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ხელისუფლების პრესტიჟი და ქართული სახელწიფოს პოზიციები მკვეთრად გაუარესდა;
- ქვეყნის შიგნით მავთულხლართების „საზღვრები" მოიწევს;
- ჩვენს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს ჯარი და მის მიერ აღიარებული ორი კვაზი-სახელმწიფო განაგრძობს არსებობას;
- საზღვრები მორღვეულია და სამ სახელმწიფოსთან საზღვრის დემარკაცია და დელიმიტაცია არ განხორციელებულა;
- სიღარიბის დონე და მასშტაბები იზრდება. ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედი კვლავ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ რჩება;
- გაეროს მონაცემებით ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას;
- ეკონომიკა ვირტუალური ზრდიდან სტაგნაციის მდგომარეობაში გადავიდა;
- განათლება და მეცნიერება კვლავაც დეგრადაციას განიცდის;
- ქვეყნის წინაშე არსებული ენერგეტიკული საფრთხეების გადაწყვეტას კვლავაც გიგანტური ჰესების მშენებლობით ლამობენ;
- ეკოლოგიაზე ზრუნვა მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებად რჩება;
- ინფორმაციულ ეპოქაში საინფორმაციო უსაფრთხოებაზე არავინ ზრუნავს.

<u>სახელმწიფო მართვის სფეროში დასაქმებულ პირთა უდიდესი ნაწილი სრულიად არაკომპეტენტურია. გრძელდება ადამიანთა დასაქმება ნათესაობის ან პოლიტიკური লოიალობის და არა კომპეტენციის ნიშნით. შედეგად, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან ინტელექტუალური ძალების დიდი ნაწილი ჩამოცილებულია. ხელისუფლება ვირტუალურ რეალობაში ცხოვრობს, ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ხიდი ჩატეხილია.</u>

ძირითად შიდა პოლიტიკურ საფრთხეებს ასევე წარმოადგენს:

დემოკრატიული სახელმწიფოებრივი სისტემის არარსებობა, გადაწყვეტილებათა მიღების ერთპიროვნული ტრადიციის გაგრძელება, ამომრჩევლისთვის სრულიად არაადეკვატური პარლამენტის შემადგენლობა. დღეს თქვენი არჩევანი განაპირობებს, შევძლებთ თუ არა ხალხის საჭიროებებზე ორიენტირებული პარლამენტი მივიღოთ!

ქვეყანა შიდა ეკონომიკური საფრთხეების წინაშე დგას!

სოციალური საფრთხეები მწვავდება:

- არ არსებობს კონცეპტუალურ საფუძველზე მდგომი თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა;
- საქართველოს ბუნებრივი უპირატესობანი გამოუყენებელია;
- „ცოდნის ეკონომიკას“ ანაცვლებს „მომსახურების ეკონომიკა“;
- ქვეყანას უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი აქვს. მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს და რეალურად ვალებით, მომავალი თაობების ხარჯზე ცხოვრობს;
- ღრმავდება სოციალური უთანასწორობა;
- უმუშევრობა ლამის საყოველთაო პრობლემა გახდა;
- კატასტროფულად იზრდება სხვაობა ყველაზე მდიდრებსა და ყველაზე ღატაკებს შორის;
- წინა ხელისუფლების მიერ დაყაჩაღებული საშუალო ფენის ნაწილი გამდიდრების ნაცვლად ღარიბდება;
- შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყანას ტოვებს სამუშაოს საძებნელად;
- დევნილთა პრობლემები კვლავ უკიდურესად მწვავე რჩება;
- „დაკარგული თაობის“ პრობლემა ღრმავდება. 40 წელს გადაცილებული ადამიანები, ფაქტობრივად, ჩამოცილებულნი არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას;
- დაპირებული სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ერთეულებისათვის მოხდა და ადამიანები კვლავ შერჩევითი სამართლის მოწმენი გახდნენ.

„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ უმთავრესი მიზანია:

- <u>საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ობიექტის ნაცვლად მის სუბიექტად ჩამოყალიბდეს. უსაფრთხოების სფეროში ჩვენი პოლიტიკის ძირითადი პრინციპი პრევენციული დიპლომატია გახდეს;</u>
- ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და განმტკიცების მიზნით გამოირიცხოს ავანტიურიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში, საქართველო დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონის ნაცვლად თანამშრომლობის სივრცედ იქცეს;
- ევროკავშირთან ურთერთობა მაქსიმალურად გაღრმავდეს;
- ჩრდილოატლანტიკურ სივრცესთან თანამშრომლობა უნდა იყოს თანასწორუფლებიანი და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებაზე აგებული;
- რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება მაქსიმალურად ინტენსიურად წარიმართოს;

- რუსეთი უნდა დარწმუნდეს, რომ საქართველოს ტერიტორიიდან მას საფრთხე არ დაემუქრება;
- საქართველომ ყოველმხრივ ხელი შეუწყოს სტაბილიზაციის პროცესს ჩრდილოეთ კავკასიაში. მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია საქართველოსთვისაც უმთავრესი პრიორიტეტია;
- საქართველომ განამტკიცოს და გააღრმავოს ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან და ყველა ჩვენი მოქმედება იყოს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისაკენ მიმართული.

რუსეთთან ურთიერთობების ამჟამინდელი მდგომარეობა სრულიად გაურკვეველია. არ ჩანს სტრატეგია და ურთიერთობის ნორმალიზაციის „სამოქმედო გეგმა“. მთავრობის გაუბედავი ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობების დათბობის სიმულაციას წარმოადგენს, ამ დროს კი ჩვენი ტერიტორიის გულზე ახალი „საზღვარი“ და მავთულხლართები ჩნდება. ჩვენ უზრუნველვყოფთ რუსეთთან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების დაწყებას (მათ შორის, ცხადია, ყველაზე მტკივნეულ თემებზე და არა მხოლოდ ბაზრის ნაწილობრივ აღდგენაზე). საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთთან სავიზო რეჟიმს გავაუქმებთ, რუსულ ბაზარს ფართოდ და სრულფასოვნად გავხსნით. თავის მხრივ, რუსული ბაზრის ოპტიმალური გამოყენება მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებას.

<u>ჩვენ უნდა დავიწყოთ ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებები რუსეთთან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. მივაღწევთ იმას, რომ აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის ფონზე რუსეთმა პოზიტიური როლი შეასრულოს კონფლიქტების დარეგულირების პროცესში. დევნილი მოსახლეობა დაბრუნდება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. თანმიმდევრული და მიზანდასახული პოლიტიკის გატარებით, უბლოკო სტატუსის პირობებში, მივაღწევთ ჩვენი ძირძველი მიწის და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისა და დების დაბრუნებას ერთიან ქართულ სახელმწიფოში.</u>

უმნიშვნელოვანესია:

- აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის დაწყება. მხოლოდ ამ დიალოგს შეუძლია ნდობის აღდგენა. აფხაზები და ოსები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ისინი არასოდეს არ იქნებიან სამხედრო და საომარი მოქმედებების სამიზნე. მათთვის მიმზიდველი უნდა გახდეს საქართველო მათი თვითმყოფადობის, ეკონომიკური და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფით;
- სახალხო დიპლომატიის, ყველა სახის კონტაქტის (ადამიანური, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო, მედია და ა.შ.) წახალისება აფხაზურ და ოსურ მხარეებთან.

არსებული პრობლემები თანდათან უნდა გადაწყდეს. კონფლიქტების მოგვარების უმთავრესი პრინციპია ორიენტაცია არა იმაზე, რაც გვაშორებს, არამედ იმაზე, რაც გვაკავშირებდა და მომავალშიც დაგვაკავშირებს. საქართველო კონფლიქტებს სამხედრო გზით არ მოაგვარებს.

აუცილებელია:

- <u>თავდაცვის თანამედროვე და რეალისტური დოქტრინის შემუშავება;</u>
- <u>შეიარაღებული ძალების მშენებლობისას საქართველოს ბუნებრივი პირობების და საჭიროებების გათვალისწინება;</u>
- <u>ქართული ჯარის წვევამდელთა სისტემიდან საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლა, რაც, აქტიური რეზერვის ფონზე, ჯარის გაჯანსაღების გარდა, უამრავ ადამიანს დაასაქმებს;</u>
- <u>ომში დაღუპულები, ვეტერანები და მათი ოჯახები სახელმწიფოს მიერ დაფასებულნი იყვნენ იმისდა მიუხედავად, თუ სად და რომელი პრეზიდენტის დროს იბრძოდნენ. ყველა, ვინც აქ, საქართველოში იცავდა სამშობლოს, ისევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, როგორც უცხოეთში მომსახურე სამხედროები;</u>
- <u>ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის სოციალური გარანტიების შექმნა სახელმწიფო პრიორიტეტად უნდა იქნას აღიარებული</u>.

სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის!

სასამართლო ხელისუფლება საქართველოში გადაუდებელ რეფორმირებას საჭიროებს. სასამართლო სამართლიანი, კომპეტენტური, ობიექტური, მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი და იაფი უნდა იყოს. დღეს სასამართლო მაღალი ბაჟისა და ტერიტორიული სიშორის გამო მოქალაქეთა უმრავლესობისათვის მიუწვდომელია. უნდა შეიცვალოს იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესი, გადაიხედოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საკითხი. სასამართლოში საქმეთა განაწილება პოლიტიკური მანიპულაციების შესაძლებლობებს უნდა გამორიცხავდეს. დაუშვებელია მოსამართლეთა, მით უფრო დღეს მოქმედ მოსამართლეთა, უვადოდ (სიცოცხლის ბოლომდე) დანიშვნა. უნდა დადგეს იმ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდნენ და უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებდნენ. უზრუნველყოფილი უნდა იქნას სასამართლოზე დაცვისა და ბრალდების მხარის თანასწორუფლებიანობა. ადვოკატთა უფლებები დაცული და გარანტირებული უნდა იყოს.

ეკონომიკური დავების სწრაფი და ეფექტური განხილვის მიზნით უნდა აღდგეს კერძო არბიტრაჟი!

,,ქართული ოცნების“ მიერ სასამართლო რეფორმად წოდებული პირველი და მეორე ტალღა, სხვა არაფერი აღმოჩნდა, თუ არა ინდულგენცია იმ მოსამართლეებისათვის, რომლებიც იყვნენ ,,ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმის თანაშემოქმედნი და საბოლოო სასამართლო აქტებით აკანონებდნენ ყოველგვარ ბოროტებას, რომელსაც იგი სჩადიოდა ქვეყანაში წლების განმავლობაში.

გამომდინარე აქედან, „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ:

ა) მოსამართლე, როგორც დამოუკიდებელი ხელისუფალი, ვერ ჩაითვლება პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლად, თუ მის მიერ საქართველოს სახელით ერთპიროვნულად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ნაკარნახევია პოლიტიკური კონიუნქტურით. შესაბამისად, ის შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ასეთი რეჟიმის შემოქმედად და დაუყოვნებლივ უნდა იქნას ჩამოცილებული დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, აეკრძალოს მოსამართლეობა;

ბ) უნდა გადაიხედოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევის და უფლებამოსილების განხორციელების წესი. აღნიშნული უნდა ხორციელდებოდეს არა მოსამართლეთა დახურულ კონფერენციებზე, არამედ საჯარო-საზოგადოებრივი განხილვების გზით, თითოეულ კანდიდატთან მიმართებით.

„ნაციონალური“ მმართველობისას სახელმწიფოში მოქმედებდა სასამართლო უსამართლობის კონვეიერი. 400 000–ზე მეტი ადამიანი მოხვდა სისხლის სამართლის დევნის ქვეშ და ყოველ მათგანზე სასამართლოების მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც დღემდე კანონიერ ძალაშია. არავითარი სამართლებრივი დაცვის საშუალება არ არსებობს, რომ ამ ადამიანებმა თავი იმართლონ და სამართლიანი რეაბილიტაცია მიიღონ. ბრალდებულთა დიდი ნაწილი ციხეებში მოხვდა და ინდულგენციებით მიიღეს თავისუფლება, ხოლო გარკვეული ნაწილი კი დაკავებისა და დაპატიმრების გარეშე მიეცა სამართალში და ჩვეულებრივი მსჯავრდებულისა და პრობაციონერის სტატუსი მიიღო. ამრიგად, მისჯილთა დიდ ნაწილს საერთო სასამართლოების Habeas corpus–ის პროცედურით დაუკანონდა დაკავება–დაპატიმრების სისწორე, ხოლო დანარჩენებს ამ პროცედურის გარეშე დაუდასტურდათ ბრალეულობა და ყველანი გამოცხადდნენ დამნაშავეებად.

უსამართლობის მეორე დიდი ტალღა შეეხო მეწარმეთა და კერძო პირთა საკუთრებით ურთიერთობებს. ათასობით ადამიანი აიძულეს საკუთარი ნებით გადაეცათ თავიანთი ქონება, ისევე როგორც მესაკუთრეთა დიდ ნაწილს უხეში სამართლებრივი ძალადობით და სასამართლოს მეშვეობით ჩამოერთვა საკუთრება და სახელწიფოს გადაეცა. ამ ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფომ გაყიდა, ხოლო დანარჩენი კვლავ სახელმწიფო ბალანსზე ირიცხება და მესაკუთრეებს არ უბრუნდება.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, დაჩაგრულმა და ქონებაწართმეულმა მოქალაქეებმა შუამდგომლობებით მიმართეს საერთო სასამართლოებს და მოითხოვეს გარემოებათა შეცვლის საფუძველზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტყილებების გადასინჯვა, მაგრამ არც ერთ საქმეზე (თუ არ ჩავთვლით რუსთავი–2 საქმეს, როგორც განსაკუთრებულ გამონაკლისს) არც ერთ სასამართლოს საქმე არ განუახლებია და გადაწყვეტილება არ გადასინჯულა. უარის მიზეზი ყველგან შაბლონური იყო – იშველიებდნენ გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადების გაშვებას.

ამრიგად, „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ დანაპირები არ შეასრულა და ადამიანის ფუნდამენტალური და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები კვლავ დარღვეულად რჩება.

ჩვენ მოსახლეობას ვთავაზობთ კანონპროექტს ამპაროს პროცედურის სასამართლოების, ანუ ახალი ინსტიტუციის შემოსაღებად, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ მოქალაქეებს, განურჩევლად დროის ფაქტორისა და ვადების ხანდაზმულობისა, მიეცეთ სამართლებრივი საშუალება, გადაისინჯოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები და ამ გზით იქნას მიღწეული დარღვეული უფლებების აღდგენა და რეაბილიტაცია.

ამპარო ესპანური სიტყვაა და ნიშნავს უფლების დაცვას. ეს ინსტიტუტი ამ სახელწოდებით დაფუძნდა მექსიკაში და შემდგომ ამავე სახელწოდებით გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოში. ამპაროს პროცედურა სამართალწარმოების კონსტიტუციური ზედამხედველობის ფორმაა და განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კონსტიტუციურ უფლებებთან შესაბამისობას კონკრეტული მოქალაქის დარღვეულ უფლებებთან მიმართებაში. ამპაროს სასამართლო მხოლოდ ერთ ინსტანციას მოიცავს და გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში, რომელიც არანაირ აპელაცია –კასაციას არ ექვემდებარება.

სასამართლოს განსჯადობაში შედის სამი ძირითადი სფერო, კერძოდ:

1. საჩივრის განხილვა და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვა Habeas corpus -ის ნაწილში (დაკავება – დაპატიმრების კონსტიტუციური წესრიგის კანონიერების შემოწმება);
2. ბრალეულობის ნაწილში (მტკიცებულებათა მოპოვების კონსტიტუციური კანონიერების შემოწმება და მათი დასაშვებობის შემოწმება);
3. სასამართლოს გადაწყვეტილებების, აგრეთვე სანოტარო აქტების და საჯარო რეესტრის ჩანაწერების კონსტიტუციური წესრიგის კანონიერებასთან შესაბამისობა საკუთრების უფლების გადაცემის ან საკუთრების უფლების ჩამორთმევის ნაწილში.

რეესტრის ჩანაწერების კონსტიტუციური წესრიგის კანონიერებასთან შესაბამისობა საკუთრების უფლების გადაცემის ან საკუთრების უფლების ჩამორთმევის ნაწილში.

თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა!

ქვეყნაში უმძიმესი სოციალური მდგომარეობაა, რომელიც დღითიდღე მძიმდება. სახელმწიფომ სოციალურ პროგრამებში მსხვილი ბიზნესის მონაწილეობის მართებული ფორმა უნდა შეიმუშაოს, რათა საქართველოს შეძლებულმა მოქალაქეებმა მეტი პასუხისმგებლობა და სოლიდარობა გამოავლინონ და რეალურად დაუდგნენ გვერდით გაჭირვებულებს.

- ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა იქნას წახალისებული ქველმოქმედება. სოციალურად დაუცველთა დახმარების მიზნით, ან ეროვნული კულტურის მხარდასაჭერად ქველმოქმედების გამწევთა მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას წახალისების გარკვეული ფორმები, საგადასახადო შეღავათების დაწესების ჩათვლით. საამისოდ აუცილებელია შემუშავდეს კანონი „ქველმოქმედების შესახებ";
- გადასახადის სიდიდე უნდა იყოს დიფერენცირებული შემოსავლების სიდიდის შესაბამისად;
- გავატარებთ საგადასახადო სისტემის რეფორმას. პარამეტრული საგადასახადო სისტემიდან გადავალთ დიფერენცირებულ საგადასახადო სისტემაზე;
- სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ წახალისდეს ის ეკონომიკური პროექტები, რომლებიც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის და, შესაბამისად, შეამცირებს სოციალურად დაუცველ ადამიანთა რიცხვს;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭება და მოხსნა არ უნდა იყოს დამოკიდებული შემფასებელი პერსონალის სუბიექტურობაზე. უნდა მოხდეს ავტომატიზებული სისტემის სრულყოფა, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში შეცდომა უნდა აღმოიფხვრას საჯარო და გამჭვირვალე მექანიზმებით;
- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი ეკონომიკური და საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც ქვეყნის სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს;
- საგადასახადო პოლიტიკა იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ გადასახადი არა მხოლოდ ბიუჯეტის შევსების წყარო იყოს, არამედ ეკონომიკის განვითარებას შეუწყოს ხელი;
- ყველა კანონიერი ხერხის გამოყენებით საქართველოს უნდა დაუბრუნდეს მილიარდობით თანხა, რომელიც სხვადასხვა ხელისუფლების დროს გაიზიდა ქვეყნიდან. აღნიშნული თანხები სოციალური პრობლემების მოგვარებასა და ეკონომიკის განვითარებას უნდა მოხმარდეს. ამ წესით და სახელმწიფო ხარჯების შემცირების შედეგად მიღებული შემოსავლები მიმართული უნდა იქნას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

სოციალური მინიმუმი, პენსიები და უმუშევრობის შემწეობები

სამართლიანობის დამკვიდრება სოციალური მიმართულებით არაერთი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.
უნდა შეიცვალოს კანონი „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ და ხელისუფლებამ თანხის საბოლოო ოდენობის დათვლისას ორიენტირად უნდა აიღოს სოციალური ნორმატივი და არა ფაქტობრივი მონაცემები. კერძოდ, სასურსათო კალათის კალორიულობა 2200–დან 2500 კილოკალორიამდე უნდა გაიზარდოს. სასურსათო და არასასურსათო ხარჯების შეფარდება არანაკლებ 50/50 უნდა განისაზღვროს. ამ ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გამოანგარიშებული საარსებო მინიმუმი საქართველოში დაახლოებით 250 ლარს შეადგენს.

ხელფასებისა და პენსიების ინდექსაცია უნდა მოხდეს ინფლაციის გათვალისწინებით!

ქვეყანაში უნდა გატარდეს საპენსიო რეფორმა

- პენსია (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარჩენალდაკარგულების, პოლიტრეპრესირებულების და ყველა სხვა კატეგორიის მინიმალური პენსია) გაუტოლდება რეალურ საარსებო მინიმუმს, განისაზღვრება შრომითი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით.საარსებო მინიმუმის ზემოთ დაირიცხება დანამატი – ნამსახურობის ყოველ წელიწადზე;
- დედებს შვილის აღზრდის პერიოდი ჩაეთვლებათ შრომით სტაჟში–დაწესდება „დედის ხელფასი“;
- ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის უნდა შეიქმნას ღირსეული სოციალური გარანტიები;
- უნდა განისაზღვროს მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა მშობლის სტატუსი და მათთვის შემოღებული იქნას შემწეობა;
- უნდა მოხდეს საცხოვრებელ დაკარგულთა აღწერა და მათთვის ეფექტიანი დახმარების გაწევის მიზნით სოციალური დაცვის საგანგებო პროგრამის შემუშავება;
- უმუშევართათვის უნდა დაწესდეს ექვსთვიანი შემწეობა;
- საშუალო ფენა უნდა გაძლიერდეს და რაოდენობრივად გაიზარდოს. ჩვენი მიზანია, რომ ქვეყანაში უმრავლესობა არა სოციალურად დაუცველთა ფენა, არამედ საშუალო ფენა გახდეს.

განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი ჩვენი გზაა თანამედროვე სამყაროში!

ასწლეულების განმავლობაში საქართველოს მსოფლიო იცნობდა მეცნიერებით, ხელოვნებით, უძველესი და უნიკალური თვითმყოფადი კულტურით.
დამოუკიდებლობის ოცმა წელიწადმა ამ თვალსაზრისით, იშვიათი გამონაკლისების

გარდა, ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. ქვეყნის ეროვნული ფასეულობების, მისი ბუნებრივი პოტენციალისა და ხალხის შემოქმედებითი ნიჭის წახალისების გარეშე საქართველო დაკარგავს იმ უნიკალურ ადგილს, რომელიც მას რეგიონსა და მსოფლიოში დამსახურებულად ეკავა. მცდარია მოსაზრება, თითქოს პატარა სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, კონსერვატორია, ძლიერი საგანმანათლებლო სისტემა. განათლების სისტემის ღირებულების მთავარ სუბიექტს უნდა წარმოადგენდეს მასწავლებელი და მოსწავლე. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ჯეროვნად უნდა აფასებდეს მის შრომას. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ყველაზე ღირებული ინვესტიცია მომავალი თაობის განათლებაში ჩადებული სახსრებია.

„ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა„ ყველაფერს იღონებს, რათა:

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლების ხარისხს;
- სკოლამდელი განათლება იყოს სავალდებულო;
- საყოველთაო საშუალო განათლება იყოს სავალდებულო;
- უნივერსიტეტებს დაუბრუნდეს რეალური ავტონომია;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემას ჩაუტარდეს რეფორმა. დაშლილი და გაყიდული სამეცნიერო და დარგობრივი ინსტიტუტები აღდგეს. თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაფუძნდეს ახალი სამეცნიერო ინსტიტუტები;
- შევიმუშაოთ ახალგაზრდობის აღზრდის კონცეფცია, რომელიც, თანამედროვე ტექნოლოგიებთან ერთად, ეროვნულ ფასეულობებსა და ტრადიციებს დაეყრდნობა;
- უმაღლესი განათლება მთლიანად დააფინანსოს სახელმწიფომ;
- სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს მიეცეთ გამოცდების ჩაბარების უფლება და გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეექმნათ სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- შეიქმნას სტუდენტური სახელმძღვანელოების ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც ყოველწლიურად ითარგმნება ათასზე მეტი სასწავლო ლიტერატურა, განთავსდება სპეციალურ საიტზე და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება უფასოდ;
- განხორციელდეს პედაგოგთა ანაზღაურების რეფორმა. პედაგოგების მინიმალური ხელფასი 1300 ლარი იყოს;
- სოფლებში აღდგეს საშუალო სკოლები და ბაგა-ბაღები;
- სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელებს აღუდგეთ პედაგოგის სტატუსი;
- შეიქმნას სპეციალური ფონდი უცხოეთში სტუდენტების სასწავლებლად გაგზავნის მიზნით. საგანმანათლებლო კრედიტს, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, მთლიანად დაფარავს ფონდი;

- შესწავლილი იქნას ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების პროგნოზი და დაიგეგმოს შესაბამისი სპეციალისტების მოსამზადებელი პროგრამები;
- სახელმწიფომ დააფინანსოს ორწლიანი პროფესიული კოლეჯები, რომლებშიც ახალგაზრდები შეძლებენ პრაქტიკული სპეციალობის, ხელობის შესწავლას საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ;
- გაუქმდეს ეროვნული გამოცდები და, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, აბიტურიენტები საატესტატო გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ნაბიჯი სასარგებლო იქნება როგორც სტუდენტისთვის, ასევე უნივერსიტეტებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. მსოფლიო კლასის განათლების სისტემის შექმნის გზაზე ეს აუცილებელი და ეფექტიანი ნაბიჯი იქნება;
- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ფიზიკური კულტურის მხარდაჭერაზე ბავშვებსა და ახალგაზრდებში. სპორტულ ფედერაციებს ადეკვატური დაფინანსება უნდა მიეცეთ.

სახელმწიფომ განათლებაში საყოველთაო გადამზადება უნდა განახორციელოს. უნდა ამუშავდეს პროგრამა „არც ერთი მოქალაქე – პროფესიის გარეშე" და მის ფარგლებში დაიწყოს ყველა ასაკის მოქალაქეთა თანამედროვე პირობებისთვის აუცილებელი პროფესიებითა და კომპეტენციებით აღჭურვა. საქართველოში უნდა დაარსდეს „ღია უნივერსიტეტი", რომელშიც უფროსი ასაკის მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ მოქნილი გრაფიკით მიიღონ თანამედროვე განათლება და საუნივერსიტეტო დიპლომი.

სამოქალაქო ინტეგრაცია

ჩვენი პროგრამის ძირითადი მიზანია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო საკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, რომელიც ეთნიკურ მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობით. ქვეყნის ყველა მოქალაქეს უნდა შევუქმნათ თანაბარი პირობები საზოგადოებრივ - - პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობისთვის. სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფო ენის სწავლების უზრუნველყოფას. უნდა გამოირიცხოს რაიმე ტიპის დისკრიმინაცია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის მიმართ. სახელმწიფო ყველა მოქალაქის დამცველი უნდა იყოს.

ეფექტიანი და სამართლიანი ჯანდაცვა ყველასთვის!

ჩვენი ხალხის ჯანმრთელობისთვის აუცილებელია: გამართული, მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებებზე ორიენტირებული და საზოგადოებრივად სამართლიანი ჯანდაცვის სისტემა. აქცენტი დაავადების პრევენციაზე უნდა გადავიტანოთ.

ადამიანებს უნდა მიეცეთ რეალური შესაძლებლობა თავიანთ ჯანმრთელობაზე ავადმყოფობის ჩამოყალიბებამდე და გართულებამდე იზრუნონ. საზოგადოებაში, თითოეულ ადამიანში რეალური ზრუნვით უნდა ჩავნერგოთ რწმენა, რომ ნებისმიერი ადამიანის ავადმყოფობა არა მარტო პირადი, არამედ ყველას საწუხარი და საზრუნავია, რადგან თითოეული ჩვენი თანამემამულის ჯანმრთელობა სჭირდება ოჯახს, საზოგადოებას, სახელმწიფოს.

აუცილებელია, დღენიადაგ ვიზრუნოთ ჩვენს გარემოზე, რათა მივაღწიოთ და შევინარჩუნოთ ადამიანის ჯანმრთელობის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორების – ჰაერის, წყლის, ნიადაგის, საცხოვრებლისა და საკვების უსაფრთხოება, ყველა დავარწმუნოთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის აუცილებლობაში და მივეხმაროთ, ვუბიძგოთ ამ წესის დაცვისკენ. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ის ამ პრობლემასთან მარტო არ არის, მის გვერდითაა მთელი სახელმწიფო. არც ერთი ადამიანი არ უნდა დავკარგოთ გაუმართავი ჯანდაცვის სისტემის, უხარისხო სამედიცინო მომსახურების, გულგრილობის, უსახსრობის გამო. ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი უნდა იყოს მომავალი თაობა. უნდა გადავარჩინოთ ყველა სიცოცხლე, რომლის გადარჩენაც შესაძლებელია და რაც დღეს ვერ ხერხდება.

- სახელმწიფო ჯანდაცვითი გარანტიები უნდა გახდეს მართლაც საყოველთაო და სამართლიანი ნებისმიერი მოქალაქის მიმართ. მოქალაქეს, რომელიც დღეს დასაქმებასთან დაკავშირებულ კორპორატიულ დაზღვევას ფლობს და შესაძლოა, ხვალ სამუშაოს გარეშე დარჩეს, არ შეიძლება დაუყოვნებლივ არ მიენიჭოს უფლება, ისარგებლოს სამედიცინო მომსახურების იმავე პაკეტით, რაც საყოველთაო პროგრამითაა გათვალისწინებული, რათა მას სამუშაოს დაკარგვასთან ერთად ჯანმრთელობის დაკარგვის რისკიც არ გაეზარდოს;
- აუცილებლად უნდა გაძლიერდეს პირველადი ჯანდაცვა. დეკლარატიული დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი რგოლის მიმართ ბოლოს და ბოლოს უნდა შეიცვალოს! აქცენტი რეალურად უნდა გაკეთდეს დაავადებათა ადრეულ სტადიაზე გამოკვლევასა და მკურნალობაზე, რაც პაციენტისთვისაც უმჯობესია და ქვეყნის ეკონომიკისთვისაც;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყოფილ უბნის ექიმებს (ახლა ოჯახის ექიმებს უწოდებენ) - მოსახლეობისთვის პირველი ზოგადი საექიმო დახმარების გაწევის სპეციალისტებს, რათა მათი სამუშაო პირობები, მოტივაცია რეალურად შეესაბამებოდეს იმ დიდ ამოცანას, რომელსაც მათ ჯანდაცვის სისტემა აკისრებს და რა შედეგსაც მათგან მოვითხოვთ. რეალურად უნდა დავაფასოთ ამ პროფესიონალების მძიმე შრომა, განსაკუთრებით სოფლად;
- ამბულატორული პროფილის დიაგნოსტიკურ-სამკურნალო დახმარების გაძლიერების პარალელურად უნდა შეიქმნას და დაიხვეწოს მოსახლეობის მედიკამენტური საშუალებებით უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი სქემები, რათა საბოლოოდ დავაღწიოთ თავი უწამლობით მიშვებული ავადობისა და თვითმკურნალობის მიზეზით გამოწვეულ მძიმე შედეგს;

- ჯანდაცვის სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიონალი კადრები და მათი მაღალი კვალიფიკაცია. ამისათვის აუცილებელია სათანადო ყურადღება და ძალისხმევა სახელმწიფოს მხრიდან - თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისი საბაზისო და შემდეგ უწყვეტი სამედიცინო განათლების მიღების საშუალება, დღევანდელობის შესაბამისი სამუშაო გარემო და ანაზღაურება, რომელიც, ელემენტარულად, სხვისი სატკივარის გაზიარებისა და ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემს მედიკოსებს;

- სახელმწიფო თავისი მატერიალური შესაძლებლობისა და სამედიცინო ქსელის პოტენციალის ფარგლებში სრულად დაეხმარება მათ, ვისაც თვითონ არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი ჯანმრთელობა. სოციალურად მგრძნობიარე ფენები: ბავშვები, პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უმუშევრები, ომის ვეტერანები, სტუდენტები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებლები, სოციალურად დაუცველი პირები, უზრუნველყოფილი იქნებიან ქვეყანაში განხორციელებადი სრული სამედიცინო მომსახურებით (ამბულატორული სამედიცინო დახმარებიდან დაწყებული - - სტაციონარულით დამთავრებული, სამედიცინო ჩვენებით აუცილებელი მედიკამენტების ჩათვლით).

აუცილებელია ჯანდცვის სისტემაში მოქცეული სახელმწიფო სახსრების რაციონალური მართვა, რათა ეს სახსრები არ ემსახურებოდეს ადამიანთა სხვა, არასამედიცინო ინტერესებით მოტივირებულ ჯგუფებს და მეტმა სიკეთემ მიაღწიოს ამ სფეროში მოსახლეობამდე. მეტი სამედიცინო მომსახურება, მკურნალობა, წამალი შეხვდეს პაციენტს, რომელიც ამას საჭიროებს. ეს გამოწვევა ცალსახად გულისხმობს ჯანდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესებას, სამედიცინო დახმარების ფასწარმოქმნის მოწესრიგებას, სამკურნალო საქმის წარმოებისა და წამლის ხარისხის სრულყოფას, სამედიცინო კადრებისა და სამედიცინო დაწესებულებების ქსელის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების მოწესრიგებას.

თანაბარი გარემო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის!

მიგვჩნია, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების მიმართ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ მიეცეთ სრულყოფილი ცხოვრების საშუალება; მოხდეს მათი სრული ინტეგრაცია საზოგადოებაში,სულიერი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სისავსემ და მრავალფეროვნებამ გააქარწყლოს შეზღუდული შესაძლებლობებით გამოვეული წუხილი და სოციალური დისკომფორტი.

ნარკომანიის პრობლემა ყველას ეხება!

ნარკომანიის პრობლემა დღეს ეროვნული უსაფრთხოების დონის პრობლემად იქცა. საქართველოში ნარკოტიკებზე მოთხოვნის შესამცირებლად განხორციელებული ღონისძიებები მეტად მწირი და არაეფექტურია. პრაქტიკულად არ ხორციელდება ფართომასშტაბიანი პირველადი პრევენციული ღონისძიებები, ნარკოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს არც ერთი სრულფასოვანი სარეაბილიტაციო დაწესებულება. რაც უნდა ეფექტურად მუშაობდეს სამართალდამცავი სტრუქტურები ნარკოტიკების მოწოდების შეზღუდვაზე, თუ არ განვითარდა ნარკომანიის პროფილაქტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის სამსახურები (ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირება), ნარკომანიის გავრცელების შემცირება ვერ მოხდება. ამ უკიდურესად მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია:

- ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაცია - ამ ადამიანებს მკურნალობა სჭირდებათ და არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება. წამალდამოკიდებულება ქრონიკული დაავადებაა. წამალდამოკიდებული პირის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოხვედრა და ამასთან დაკავშირებული თავშეკავება (თუნდაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში) არ იძლევა სასურველ შედეგს;
- აუცილებელია საქართველოში წამალდამოკიდებულთა სამედიცინო - სოციალური რეაბილიტაციის სპეციალიზებული ცენტრების ქსელის შექმნა. უმჯობესი იქნება მოხდეს მცირე ზომის სარეაბილიტაციო ცენტრების ამოქმედების წახალისება. ამისათვის საჭირო იქნება სახელმწიფოს მიერ სარეაბილიტაციო ცენტრების მხარდაჭერა;
- ფსიქოაქტიური ნივთიერებების მხოლოდ აკრძალვით პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდება, ამიტომ უნდა ვასწავლოთ ახალგაზრდობას არაჯანსაღ საზოგადოებაში, ანუ ნარკოტიკებისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა გარემოცვაში თავდაცვა, ეს კი ნარკომანიის პირველადი პრევენციის პრეროგატივაა. საჭიროა ფართო ანტინარკოტიკული საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ახალგაზრდებისთვის ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი პრევენციული პროგრამების შექმნა და დანერგვა.

დემოგრაფია

საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას. ჩვენ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ვიზრუნებთ, რომ შევქმნათ არა მარტო ზოგადი პირობები, არამედ განსაკუთრებული მატერიალური სტიმულები ერის გამრავლებისთვის, ახალშობილთა აღზრდისა და მოვლისთვის, ქალთა ჯანმრთელობის დასაცავად, ახალგაზრდა ოჯახების დასახმარებლად.

ხელისუფლების მხრიდან სისტემატურად უნდა მოხდეს საზოგადოების გაცნობიერება და ინფორმირება, რომ ქვეყანა დეპოპულაციის საფრთხის წინაშეა, ერი უნდა გამოფხიზლდეს, დაირაზმოს, იგრძნოს პასუხისმგებლობა, რათა არ გადავშენდეთ.
დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება ეკონომიკის განვითარებას, დასაქმებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას, რაც ქვეყნის გარეთ მოსახლეობის მიგრაციის შემცირებისა და ქვეყანაში მცხოვრებთა მძლავრი, მრავალშვილიანი ოჯახების შექმნის წინაპირობაა. სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი უნდა იყოს მარტოხელა დედები და მრავალშვილიანი ოჯახები.
საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს უნიკალური მაღალმთიანი რეგიონის გაუკაცრიელების პროცესის შეჩერებას, მთის გადარჩენას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას და მთაში მცხოვრები ოჯახების წახალისებას.
დემოგრაფიულ პროცესებზე დამანგრეველ გავლენას ახდენს ჩვენი თანამემამულეების საზღვარგარეთ მასიური გასვლა სამუშაოს საძებნელად. უმეტეს შემთხვევაში ეს ახალგაზრდა მამაკაცები და ფერტილობის ასაკში მყოფი ქალები არიან, რომლებიც ვეღარ ქმნიან ოჯახს ან უკვე შექმნილ ოჯახებს ტოვებენ ლუკმა - - პურის საშოვნელად. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ მათი დაბრუნების და საქართველოში დასაქმების საკითხი ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცეს.

პროექტი „ქართული კერა"

აუცილებელია ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება – წელიწადში მინიმუმ **100 000** კვ. მ ფართით ახალგაზრდა ოჯახების დაკმაყოფილება. ამისათვის უნდა შეიქმნას არამომგებიანი სახელმწიფო ფონდი, რომელსაც საბრუნავი სახსრები, **50** მილიონი ლარის უპროცენტო სახელმწიფო სესხის სახით და მიწის ნაკვეთები უსასყიდლოდ გადაეცემა. ამრიგად, ახალგაზრდა ოჯახი საცხოვრებელი ფართის მხოლოდ თვითღირებულებას, ანუ დღევანდელი საბაზრო ფასის მესამედს გადაიხდის. შემოსული თანხა კვლავ შეავსებს ფონდს შემდგომი **100 000** კვ.მ-ის ასაშენებლად, რომელიც კვლავ ახალგაზრდა ოჯახებს დაეხმარება.

დიასპორა

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ჩვენი თანამემამულეების მონაწილეობა ქვეყნის მომავლის არჩევასა და განსაზღვრაში. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ისტორიაში წარმოქმნილი ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართული ემიგრაცია, თავისი მატერიალური დახმარებით (სხვადასხვა გათვლებით, სულ მცირე, 4 მილიარდამდე ლარი) ინარჩუნებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგრადობას. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები წლების მანძილზე მოკლებულნი იყვნენ თავიანთ ფუნდამენტურ უფლებას – არჩევანის უფლებას.

- <u>უნდა შეიქმნას პირობები, რათა უცხოეთში მყოფმა ჩვენმა თანამემამულეებმა, სურვილის შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნება და საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენება შეძლონ;</u>
- <u>უნდა გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რომ ჩვენს თანამემამულეებს ჰქონდეთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება;</u>
- <u>დიასპორა აქტიურად უნდა ჩაერთოს ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარების პროცესში;</u>
- <u>უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეების მიმართ სახელმწიფომ ზრუნვა უნდა გამოიჩინოს. მათ ქვეყნის გარეთაც უნდა მიეცეთ საშუალება, ქართული საქმე აკეთონ. ყველგან, სადაც ჩვენი დიასპორა არსებობს, უნდა გაიხსნას „ქართული სახლები", რომლებიც ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე, აგრეთვე ეკონომიკური პოტენციალისა და ექსპორტის წახალისებაზე იქნება ორიენტირებული.</u>

მიგრაცია

მიგრაციის პრობლემები ქვეყანაში უნდა მოგვარდეს. შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში შემოსულ უცხოელებზე კანონისმიერ მონიტორინგს და არ დაუშვებს მიგრანტთა მოზღვავებას. ქვეყანაში მიგრაცია რეგულირებას უნდა ექვემდებარებოდეს. დავიცავთ შრომის შიდა ბაზარს. სამუშაო ძალა სხვა ქვეყნიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას არ უშლის ხელს.

ეკონომიკის გაჯანსაღება

აუცილებელია ეკონომიკის გათავისუფლება და სტიმულირება! „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა ერის სიდუხჭირეში ჩაგდებით მისი პოლიტიკური აქტივობის დათრგუნვა. ამ მზაკვრული პოლიტიკის მხილება არ არის საკმარისი. სახელმწიფო და კერძო პირთა საკუთრების მითვისებამ უთანასწორობა წარმოშვა, როდესაც პირთა ვიწრო ჯგუფის ხელშია აკუმულირებული უზარმაზარი სიმდიდრე, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა მხოლოდ მოჯამაგირის მდგომარეობაშია და არავითარი რეალური შანსი საკუთარი მდგომარეობის გამოსასწორებლად არ რჩება. პარადოქსია, რომ მსოფლიოს გლობალური კონტროლის სისტემის თვალწინ, რომელიც თითოეული დოლარის გადაადგილებას ადევნებს თვალს, გადამალული იქნა ისეთი რაოდენობის მოპარული თანხები, რომელთა გამოყენება საქართველოს ეკონომიკას „ვეფხვის ნახტომის" ქვეყნების მსგავს განვითარებას შეაძლებინებდა.

- ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია, აიკრძალოს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის საქართველოში ქონების ფლობა.

ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ იურიდიულ პირებს უნდა მიეცეთ გონივრული ვადა, რათა მოხდეს აღნიშნული ქონების მეპატრონის ლეგალიზაცია.
- საქართველოდან გატანილი ნაძარცვი ფული უკან უნდა დაბრუნდეს და ჩაიდოს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში. ეს რეალურია და ამგვარი თანხების დაბრუნება არაერთხელ მომხდარა სხვა ქვეყნებში.

დღეს მსოფლიოს ყველა წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნის ხელისუფლება თავის დროზე ხელს უწყობდა საკუთარ მეწარმეებს საექსპორტო ბაზრის დამკვიდრებაში. ჩვენმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გასაღების ბაზრის მოპოვება, ეს კი შეუძლებელია ექსპორტის სამართლებრივი დაცვის, საკრედიტო, საფინანსო თუ სადაზღვევო ორგანიზაციული სისტემების შექმნის გარეშე. საქართველომ უნდა დაიბრუნოს ბუნებრივი გასაღების ბაზრები. პრობლემა მხოლოდ გადამამუშავებელი ქარხნების არარსებობა კი არ არის, არამედ სტაბილური გასაღების ბაზრის არქონაა. იქნება ბაზარი? იქნება ქარხნებიც! იქნება ქარხნები? იქნება სამუშაო ადგილებიც!

ეკონომიკის ზრდა, პირველ რიგში, გულისხმობს ექსპორტსა და შიდა ბაზარზე ორიენტირებული ბიზნესის განვითარებას. ამისათვის აუცილებელია ეკონომიკის საწარმოო ბიზნეს სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნით მისაღებია რეფორმატორული საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული კანონთა პაკეტი შეეხება კორპორატიული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. ეს ინიციატივა მოგვცემს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, ბიზნეს - - კომპანიებს მიეცემათ საბანკო – სასესხო კაპიტალის საინვესტიციო კაპიტალით ჩანაცვლების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს საექსპორტო პროდუქციის თვითღირებულებას და აამაღლებს მის კონკურენტუნარიანობას.

საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის სტიმულირების მექანიზმის დანერგვა რეალური ეკონომიკის სექტორში პირველი ორი წლის განმავლობაში მოგვცემს 2 მილიარდის ოდენობის „პორტფელური ინვესტიციების" მოზიდვის საშუალებას.

- Startup–ის მდგომარეობაში მყოფი მცირე ბიზნესი უნდა გათავისუფლდეს გადასახადებისგან პირველი ორი წლის განმავლობაში;
- ღია ტიპის სააქციო საზოგადოებების შექმნის სტიმულირების მიზნით ამ ტიპის საზოგადოებები გათავისუფლდნენ დივიდენდებზე მიმართული თანხების შესაბამისად;
- საინვესტიციო – საფონდო ბაზრის განვითარების ხელშესაწყობად, საფონდო ბროკერებისთვის მოხდება ახალი ნორმატიული პირობების შემოღება და მათთვის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის დაწესება (მოგების გადასახადი – 5%);
- <u>სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს მეწარმეობის, მათ შორის, აგრარული საქმიანობის, სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა;</u>

- <u>მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან უნდა გათავისუფლდეს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის სფეროში;</u>
- <u>საშემოსავლო გადასახადი უნდა შემცირდეს 12 % - მდე, მოგების გადასახადი - 10%- მდე, ხოლო გადასახადი დივიდენდზე - 2% - მდე;</u>
- <u>ჩვენი მიზანია: გადავიხადოთ უფრო ნაკლები – უფრო მეტმა! უნდა მოქმედებდეს პროგრესული დაბეგვრის რეჟიმი, ხოლო მოქმედი საშემოსავლო გადასახადი, ნაცვლად პროპორციული 20 პროცენტისა, იქნება პროგრესული – 10 – 20 პროცენტის ფარგლებში. რაც მეტია შემოსავალი, მით მეტია გადასახადი. ამოქმედდება დაუბეგრავი მინიმუმის ცნება. გაუქმდება ქონების გადასახადი იმ შინამეურნეობებისთვის, რომელთა წლიური დაუბეგრავი შემოსავალი იქნება 100 000 ლარზე ნაკლები;</u>
- <u>ლარი უნდა გახდეს რეალურად ერთადერთი საგადამხდელო საშუალება. დაუშვებელი უნდა იყოს ნებისმიერი გარიგების სხვა სახელმწიფოს ვალუტაში დადება;</u>
- <u>საქართველოში ტურისტული სეზონის მოკლე პერიოდულობის გამო, იურიდიულ პირებს, რომლებიც ტურისტულ რეგიონებში ტურისტული ბიზნესით არიან დაკავებულნი, კანონით განესაზღვროთ ქონების გადასახადის დიფერენციაცია სეზონურობის მიხედვით, ხოლო ინდივიდუალურ გამქირავებლებს შეუმცირდეთ დაწესებული ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი ორჯერ;</u>
- <u>ტურიზმის განვითარებისა და ამ ინდუსტრიაში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მიზნით, საქართველოს ტურისტული სპეციალიზაციის სტრატეგიაში ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება სამკურნალო წყლების, ბალნეოლოგიური კურორტების განვითარება, რაც საგრძნობლად გაზრდის ტურისტთა ნაკადს და ქვეყანაში მათი ყოფნის ხანგრძლივობას ;</u>
- <u>უნდა შეიქმნას ეფექტიანი ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც იქნება ქვეყანაში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და დაცვის ერთ - ერთი უმთავრესი გარანტი;</u>
- <u>უნდა შეიქმნას ფინანსური მონიტორინგის ოპერატიული სამსახური, რომლის მუდმივი მონიტორინგის ქვეშ იქნებიან მაღალი თანამდებობის პირები და მათი ოჯახის წევრები ქონების ფლობის ცვლილების ნაწილში. ეს იქნება ქმედითი იარაღი ელიტარული კორუფციის რეალურად აღმოსაფხვრელად.</u>

<u>ჩვენი საპროგრამო დაპირებები არ გულისხმობს ახალი ვალების აღებას. დღეს სახელმწიფო საგარეო ვალი 4,2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო კორპორაციებისა და ბანკების ვალების ჩათვლით – 13 მილიარდს. ჩვენი დაპირებების შესრულებას არსებული ბიუჯეტის 75 პროცენტი ყოფნის. გონივრული მართვის და მომჭირნეობის პირობებში ჩვენ შიდა ვალების გასტუმრებას დავიწყებთ: შეიქმნება კოოპერატიული ბინათმშენებლობების სპეციალური პროგრამა, დავფარავთ 1998 – 2004 წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანებებს, საშუალო პენსიის პერმანენტული ზრდა არათუ უფრო მაღალი იქნება ინფლაციის</u>

მაჩვენებელზე, არამედ მისი ზრდის ტემპი, სულ ცოტა, ორჯერ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი.

მეწარმეობა, ბანკები, კრედიტები და იპოთეკით დაზარალებულები

საშუალო და წვრილი მეწარმეების განსაკუთრებული ხელშეწყობა წარმოადგენს ჩვენს მთავარ პრიორიტეტს ეკონომიკაში. საჭიროა საქართველოს მოსახლეობის, ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების დამცველი და უცხოელ ინვესტორებთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება. საზოგადოების სოციალურ - ეკონომიკური დონე დამოკიდებულია საშუალო ფენის კეთილდღეობაზე და არა მხოლოდ მსხვილ ოლიგარქიულ კაპიტალზე. ქვეყანაში, სადაც ათეულობით ათასი ოჯახი ვალების გამო გამოსახლების საფრთხის წინაშეა, სასწრაფო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომებია მისაღები.

დაზარალებულთა ადეკვატური წარმომადგენლობით უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც შეისწავლის ბანკის მოვალეთა საქმეებს. ოჯახებს, რომლებიც დაზარალდნენ 2008 წლის ომის შედეგად, სახელმწიფოს მიერ საპროცესო შეთანხმებებზე იძულებით ან ბიზნესის პირდაპირ წართმევით, სრული უფლება აქვთ, ისარგებლონ სახელმწიფოს მხარდაჭერითა და დახმარებით. განსაკუთრებული შესწავლის ღირსია მოსახლეობის სრული გაღატაკების ფონზე ბანკების მიერ ხელოვნურად გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები. ქვეყანაში სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს ბინებიდან იპოთეკით დაზარალებულთა გამოსახლების პროცესი, ხელი შეეწყოს მოქალაქეთა მიერ სახელმწიფოსგან დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი სესხის მიღებას, ხოლო სამოქალაქო კოდექსში შევიდეს ცვლილებები, რომელიც ადამიანთა რეალურ დაცულობას უზრუნველყოფს. „ნინო ბურჯანაძე - - დემოკრატიული მოძრაობა" სათავეში ჩაუდგება იმ საზოგადოებრივ ინიციატივებს, რომლებიც მიმართული იქნება:

- დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად, სავალდებულო რეგისტრაციის თანხა, ნაცვლად დღეს არსებული დასაბეგრი ოპერაციების 100 000 ლარისა, განისაზღვროს 200 000 ლარის ოდენობით. იმოქმედებს პრინციპი: აღირიცხება, მაგრამ არ იბეგრება. ასიდან ორასი ათასამდე ლარის ბრუნვის მქონე მცირე ბიზნესი პროგრესული დაბეგვრის რეჟიმში მოექცევა (მოგების გადასახადი 5 – 15%) და მხოლოდ 200 000 ლარიანი ბრუნვის ზემოთ დაუბრუნდება მოქმედი დაბეგვრის სრულფასოვან რეჟიმს;
- საბანკო სისტემის ისეთ სტიმულირებაზე, რომელიც გამორიცხავს არაადეკვატურად მაღალ საპროცენტო განაკვეთებს;

- ბანკებისთვის ერთადერთი საცხოვრისის გასხვისების აკრძალვაზე არასრულწლოვანი და ქმედუუნარო წევრების წილის გამოყოფის გარეშე;
- მორატორიუმის გამოცხადებაზე, რათა შეჩერდეს გამოსახლება, ბანკებთან და კერძო მსესხებლებთან შეთანხმების მიღწევამდე;
- იპოთეკით დაზარალებულთათვის საბანკო პროცენტის დარიცხვის შეჩერებაზე.

ბიუჯეტის ხარჯების ეკონომია

დღეს საქართველოს, მისი მდგომარეობისთვის შეუფერებლად „ძვირი ხელისუფლება" ჰყავს. სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯების ოპტიმიზაცია ითვალისწინებს არსებული საბიუჯეტო ხარჯების ეტაპობრივ შემცირებას 50% – ით, რაც გულისხმობს მოქმედი სამინისტროების, მუნიციპალური და თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურულ და ფუნქციურ ოპტიმიზაციას. სახელმწიფო ხარჯების დაზოგილი თანხები მიმართული იქნება სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე, რაც არსებული დახმარებების, სულ ცოტა, 20% – ით ზრდას ნიშნავს.

- შესასყიდი პროდუქციის გაიაფების და საბიუჯეტო თანხების ეკონომიის მიზნით უნდა გაიზარდოს იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, რომლის შესყიდვაც წარმოებს კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით;
- სახელმწიფო შესყიდვების დროს სოფლის მეურნეობის გარკვეული სახეობის პროდუქციისთვის პრიორიტეტი მიენიჭოს როგორც ფასს, ასევე პროდუქციის ადგილობრივ წარმომავლობას;
- სახელმწიფო დაწესებულებებსა და იმ საწარმოებში, რომლებშიც სახელმწიფო ფლობს 50% - ზე მეტ წილს, სახელფასო სისტემა დარეგულირდეს იმგვარად, რომ მოხელეებს არ ჰქონდეთ არაადეკვატურად მაღალი ანაზღაურება;
- სახელმწიფო მოხელეთა შემოსავლები, ისევე როგორც პენსია, უნდა მიებას საარსებო მინიმუმს.

სასურსათო უსაფრთხოება

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს და დაიცვას მოქალაქის უფლება, მოიხმაროს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და სასარგებლო კვების პროდუქტები. საქართველოს მოსახლეობის 2/3 ხელმოკლეობის გამო კვების დეფიციტის პირობებშია. ბავშვთა კვების უზრუნველყოფა ცილოვანი, პექტინშემცველი, ვიტამინური საკვებითა თუ რძით პრაქტიკულად არ ხორციელდება. ამის გამო თვალნათელია ჯანმრთელობისთვის ფრიად საშიში ტენდენციები. სიკვდილიანობის სტატისტიკა იზრდება, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა ორსულთა და ჩვილ ბავშვთა შორის. ბიოპროდუქტების უნიკალური სანედლეულო ბაზა გამოუყენებელია.

- ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ქვეყნის მოსახლეობა საკმარისი და ხარისხიანი სურსათითა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით;
- უნდა დაწესდეს ქმედითი კონტროლი სურსათისა და კვების პროდუქტის ხარისხზე;
- ქვეყანაში უნდა აიკრძალოს როგორც გენმოდიფიცირებული, ისე დაბალი ხარისხის, მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტის იმპორტი.

სოფლის მეურნეობა და მიწის საკუთრება

სოფლის მეურნეობა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი დარგია. საქართველო აგრარული ტრადიციების ქვეყანაა და სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული. აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვისა და კონცეფციის შექმნა და არა ცალკეული მიმართულებებით სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სწორად დაგეგმვის შემთხვევაში რაციონალურად იქნება გამოყენებული ჩვენი ქვეყნის რესურსები (მიწა, წყალი, საძოვრები და ა.შ.), მოსახლეობისათვის მივიღებთ ადგილობრივი წარმოების მაღალხარისხიან (და არა გენმოდიფიცირებულ) პროდუქტს, ხოლო ჭარბი პროდუქტიდან სანედლეულო ბაზას მცირე და საშუალო გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, გლეხი კი შრომის შესატყვის ანაზღაურებას მიიღებს.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს გლეხებისა და ფერმერების გაძლიერებაზე. მათ მიერ თანამედროვე მოთხოვნების ათვისებასა და დანერგვაზე. ხელი უნდა შევუწყოთ დაფინანსების ეფექტიანი სისტემების დანერგვას. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხი ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მნიშვნელოვანია განვითარდეს დაზღვევის სისტემა, რომელიც დაიცავს გლეხს და ფერმერს მოუსავლიანი წლის შემთხვევაში გაკოტრებისა და ვალების დაგროვებისაგან.

გლეხს უნდა მიეცეს საშუალება, ხელმისაწვდომ ფასებში დაიქირაოს ტექნიკა. უნდა შეიქმნას პროდუქციის ჩაბარების საბითუმო და პროდუქციის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი შესანახი ცენტრები. ქვეყანას უნდა ჰქონდეს გასაღების სტაბილური ბაზრები. განსაკუთრებით საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია რუსეთის ბაზრის სტაბილური გახსნა, რათა მოწეული მოსავლის დიდი ნაწილი გლეხს არ უფუჭდებოდეს. გასაღების სტაბილური ბაზარი წაახალისებს ჭარბი პროდუქციის მოწევას და ადგილებზე შესყიდვის ცენტრების, რეალიზაციის და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას. სწორმა საგადასახადო პოლიტიკამ უნდა დაიცვას ჩვენი ქვეყნის ბაზარი და ხელი შეუწყოს ადგილობრივი პროდუქციის უპირატესად გასაღებას. უმკაცრესი კონტროლი უნდა დაწესდეს უცხოეთიდან თესლისა და ახალი ჯიშების შემოტანასა და გამოყენებაზე.

სოფლის მეურნეობისათვის ბიუჯეტში გაწერილი იქნება ერთი მილიარდი ლარი და შეიქმნება აგროსამრეწველო ბანკი, რომლის მეშვეობითაც მოხდება სასოფლო – – სამეურნეო კოოპერატივების რეალური სუბსიდირება, სასაწყობე მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა რეგიონებში.
დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულება იქნება სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოები და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება. ამგვარი ეკონომიკური სტრატეგია შექმნის პირობებს აგროკორპორაციების (სააქციო საზოგადოების სახით) და კოოპერაციის განვითარების წინაპირობებს.
დასაფინანსებელი რეგიონული პროექტების შერჩევა მოხდება მათი სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმების გათვალისწინებით. რეგიონული განვითარების თვალსაზრისით, ეს მიდგომა ერთხელ და სამუდამოდ მოხსნის უმუშევრობის პრობლემას საქართველოს რეგიონებში და მიმზიდველს გახდის რეგიონებს არა მარტო სოციალურ – ეკონომიკური პირობებით, არამედ განვითარების პერსპექტივითაც.

- სურსათის მწარმოებელი არ უნდა იღებდეს მინიმალურ ანაზღაურებას, რომელიც მის მიერ გაწეულ ხარჯებსაც ვერ ფარავს. აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და სურსათის მწარმოებლის სტიმულირება;
- სოფლის მეურნეობაში, პირდაპირ ინვესტიციასთან შედარებით, უპირატესობა უნდა მიეცეს შეღავათიან საინვესტიციო კრედიტებს. პირდაპირი ინვესტიცია მიწაზე მომუშავეს, ფაქტობრივად, მოჯამაგირედ აქცევს, ხოლო საინვესტიციო კრედიტი ქმნის ფერმერული მეურნეობების განვითარების მოტივაციას;
- უნდა მოხდეს ხალხის კუთვნილი, უკანონოდ გასხვისებული მიწების დაბრუნება;
- უნდა მოწესრიგდეს სარწყავი წყლის, მიწის საკუთრებისა და საძოვრების საკითხები;
- უნდა აიკრძალოს უცხოელებზე მიწის გაყიდვა და შეიცვალოს გრძელვადიანი იჯარით, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პირობით.

საჭიროა მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული და რეალობის ადეკვატური ახალი აგრარული პოლიტიკა, რომლის ფორმირებასა და განხორციელებაში უნდა მონაწილეობდნენ როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო საზოგადოება და სამეცნიერო წრეები. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაზაზე უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

2020 წლისთვის სრულიად შესაძლებელია სასაქონლო ხორბლით მოსახლეობის უზრუნველყოფის კოეფიციენტი 35 – 40 პროცენტამდე გაიზარდოს (დღევანდელი 12 პროცენტის ნაცვლად). ჩაიზე, ბოსტნეულ – ბახჩეულზე, ხილზე, ციტრუსებზე, თხილზე, თაფლზე, კარტოფილსა და კვერცხზე მოსახლეობის მოთხოვნილება სრულიად დაკმაყოფილდეს.

ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს რძის, ხორცის, თევზის პროდუქტების, შაქრის, მცენარეული ზეთების, ეთერზეთების და აბრეშუმის წარმოების, მეცხოველეობის განვითარებისთვის. ამ ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით, როგორც ინდუსტრიულ წარმოებაში, ისე ოჯახურ მეურნეობებში. უნდა მოხდეს სურსათის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით რეალური ჩანაცვლება და ექსპორტის ზრდა, რაც დადებითად აისახება ლარის კურსზე.

- ისევე როგორც მთიან და სასაზღვრო სოფლებში, ყველგან, გადამამუშავებელი საწარმოები ხუთი წლით უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადისგან, კომუნალურის გარდა;
- სუბსიდირებული იმპორტული პროდუქციისგან (რომელიც მთლიანად გათავისუფლებულია საკომპენსაციო მოსაკრებლისგან) ადგილობრივი მწარმოებლების დასაცავად დაუყოვნებლივ შესამუშავებელია ანტიდემპინგური კანონმდებლობა;
- სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო – ტექნიკური პოტენციალის ამაღლების, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, ეტაპობრივად უნდა აღდგეს დანაშაულებრივად გაუქმებული სოფლის მეურნეობის პროფილის 14 სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი;
- უნდა აღდგეს საქართველოს აგრაგული უნივერსიტეტი და დაეკისროს ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობისთვის კადრების მომზადების კოორდინაცია.

„მწვანე„ ენერგეტიკა, ეკოლოგია და რესურსების ყაირათიანი გამოყენება

ბუნებრივი და ინტელექტუალური რესურსებით მდიდარი სახელმწიფო არ უნდა ცხოვრობდეს გაჭირვებაში! ჩვენი ქვეყნისთვის ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის შემუშავება და განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩვენი ქვეყნის განვითარება სწორი მიმართულებით და არა კონტექსტიდან ამოვარდნილი და არასწორად გაგებული ევროპული ფასეულობების ან სტანდარტების დეკლარირებით. საქართველოში უნდა აიკრძალოს გიგანტური ჰესების მშენებლობა. სახელმწიფო უპირველესად საკუთარ მოსახლეობაზე უნდა ზრუნავდეს და მხოლოდ შემდეგ – –ჭარბ შემოსავლებზე. დასატბორად განწირული სოფლები, ეკლესიები და სასაფლაოები, კერიდან აყრილი ოჯახები ვაჭრობის საგანი არ არის!

- უნდა შეიქმნას „მწვანე ენერგეტიკის" კონცეფცია, რომლის თანახმადაც საქართველოში ეტაპობრივად დაინერგება ალტერნატიული ენერგიის წარმოება და მიწოდება. მზის, ქარისა და სხვა ბუნებრივი წყაროების მიერ წარმოებულ ენერგიას ფართოდ იყენებენ მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში;

- საბიუჯეტო შენობების ენერგოხარჯები ამ ეტაპზე დაახლოებით 200 მილიონი ლარია. სპეციალისტების აზრით, ამ ხარჯების 50% - ით შემცირება შეიძლება.

ენერგეტიკა ქვეყნის საწარმოო ძალთა და მთლიანად ეკონომიკის განვითარების საფუძველია. ენერგეტიკა უზრუნველყოფს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის, ტურიზმის, ყველა დარგის სტაბილურ ფუნქციონირებას. არ არსებობს სხვა დარგი, რომელიც იმდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ცხოვრების ნებისმიერ მიმართულებაზე, მათ შორის თავდაცვისუნარიანობაზე. ამიტომ სათბობ – ენერგეტიკული კომპლექსი სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, მიუხედავად საკუთრების ფორმისა.

აუცილებელია ენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული რეზერვების შექმნა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირება და მოსახლეობის ენერგოშემცველებით მომარაგება. ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის შესამუშავებლად უნდა შეიქმნას მაღალი დონის პროფესიონალებისგან შემდგარი მუდმივმოქმედი სტრუქტურა.

ადამიანის ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების ეფექტურად მართვის გასაძლიერებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის თანამედროვე ერთიანი სისტემის არსებობა. აქედან გამომდინარე, ცხადად დგება საკითხი საქართველოში არსებული მონიტორინგის სისტემის რეაბილიტაციის შესახებ, როგორც საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური, ასევე მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების კუთხით.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერი ბინძურდება ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკის სექტორიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით. მათგან ძირითადი დამბინძურებელია ავტოტრანსპორტი, რომელიც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის საჭიროა გარემოსდაცვითი საქმიანობის სფეროს და მასში შემავალი ჰაერდაცვითი საქმიანობის სექტორის მდგრადი განვითარება, რისთვისაც შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები და ძირითადი ამოცანები არის განსაზღვრული:

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სადამკვირვებლო არსებული ქსელის გაფართოება და გადაიარაღება თანამედროვე ხელსაწყოებით;

- ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების სტრატეგიის შემუშავება (ტექნიკური დათვალიერების, ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაციის, სატრანსპორტო მაგისტრალების საწვავის ხარისხის კონტროლის სისტემის უზრუნველყოფა).

საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წელს მიღებული კანონი „წყლის შესახებ" არ იძლევა წყლის რესურსების ეფექტური მართვის საშუალებას. აუცილებელია წყლის რესურსების ადმინისტრაციული მართვის პრინციპის შეცვლა სააუზო მართვის პრინციპით, რამაც უნდა უზრუნველყოს:

1. მოსახლეობისთვის სუფთა წყლის მიწოდება;
2. საკანალიზაციო/სანიტარიის სისტემების შექმნა ადგილობრივ დონეზე;
3. წყლის ობიექტების დაცვითი ღონისძიებების გატარება;
4. წყლის, როგორც რესურსის შენარჩუნება.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა არის პროცესი, რომელიც გულისხმობს წყლისა (ზედაპირული, მიწისქვეშა, დაბრუნებადი) და მასთან დაკავშირებული მიწის რესურსების ისეთ ერთობლივ მართვას, რომელიც არ ვნებს ეკოსისტემის მდგრადობას და უზრუნველყოფს მაქსიმალურ სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

აუცილებელია კონფლიქტურ ზონებში წყლის მართვის სისტემების დანერგვა და განხორციელება. მოსაზღვრე სახელმწიფოებთან თანამშრომლობა ტრანსასაზღვრო წყლის ობიექტების აღდგენის სახელმწიფოთაშორისი პროგრამების შემუშავებაში და ამ პროგრამების რეალიზაციისათვის მესამე ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციების მოზიდვაში.

„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა" არ იძლევა ფუჭ დაპირებებს. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ცვლილებების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ზრდა ორნიშნა ციფრით, როგორც ამას სხვა პარტიები გპირდებიან. არც მათ მიერ პენსიის ვარაუდით დაპირებული ციფრი – 250–300 ლარი არ ეფუძნება რეალურ გათვლებს და არ არის კავშირში რეალურ ეკონომიკურ პროცესებთან.
ჩვენ ვიცით რა უნდა შევცვალოთ და გვაქვს საამისო გამბედაობაც, ცოდნაც და უნარიც!

ჩვენ პროფესიონალების გუნდი ვართ, რომელიც ყველა პოლიტიკური პარტიისგან განსხვავებით, არასოდეს გარიგებია არც ერთ შიდა თუ გარე პოლიტიკურ ძალას საქართველოს მოქალაქეების და ქვეყნის ინტერესების ხარჯზე.

„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიულ მოძრაობას" ჰყავს საერთაშორისო მასშტაბის გამოცდილი პოლიტიკური ლიდერი და პროფესიონალთა გუნდი, რომელსაც თანმიმდევრულობა და შეუპოვარი ბრძოლის, სამშობლოს ინტერესების პირად ინტერესებზე მაღლა დაყენების უნარი აქვს!

③

ამ პროგრამის შესრულება რეალურია!

**ქვეყანას ამის რესურსი აქვს.
საჭიროა მხოლოდ ის, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს ეროვნული, გამბედავი და ქვეყანაზე გულშემატკივარი პოლიტიკური ძალა, რომელიც გაატარებს გონივრულ პოლიტიკას.**

ასეთი ძალა ჩვენ ვართ!

ჩვენ გაირღვევით და ამ დაპირებებს თქვენი მხარდაჭერით სრულყოფილად შევასრულებთ!

„ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა„